



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ყოველთვიური ონლაინ გამოცემა

# ინფორმაცი

ივნისი/2026



**1** დაიხაზი ტყეში ქეხვის წესები

☎ 153  
112

**2**



**4**

თხილის უხვარი ხეობა

**7** საქართველოს მცენარეული

ირიგაციის მრავალსუქუნოვანი ისტორია




**3** რატა-ლაჩხუმში გაურცელაქსურთაი ჟაზის ჟიშქი





**5**

ნუ გადაწვავ სასოფლო-სამეურნეო სავარგულს




**8** აღაშინის საკვებად გამოსაყენებელი სარევედა მცენარეები



**9**


ბრძვი, იბივი „ფსიტი“





**6**

ყირიხ კოვოს ვეპორანგიული ცხელება



**10**

ბიომრავალფეროვნება გეგმავრით საქართველოს ფაუნის ოთხ ნარამოქაღვანელს



# დაიცავი ტყეში ქვევის წესები



153  
112

**ზაფხული დადგა და ჰაერის თემპერატურა იმატებს, ადამიანების უფრო ხშირად ვსტუმრობთ ტყეს, იზრდება ტყეებში ხანძრის გარეგანი საშიშროებას. მწვანე საფარის შენარჩუნება თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაა. სანამ პიკნიკს დაგეგმავ, იცი როგორ უნდა მოიქცე ტყეში?**

## კოცონის დათებაზე უნდა ვიცოდეთ, რომ:

### კოცონის დათება ყველგან ნებადართული არ არის!

სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ცეცხლის დათება კატეგორიულად აკრძალულია: ხეების ვარჯის (ტოტების) ქვეშ, წიწვიან მოზარდ ტყეში, ძველ ნახანძრალეებში, დაზიანებულ უბნებში, გაუნმენდავ ტყეკაფებსა და ტორფიან ან გამხმარბალახიან ადგილებში.

ტყის დანარჩენ ტერიტორიაზე კოცონის დათება დასაშვებია მხოლოდ სპეციალური ბაქნის მოწყობის შემთხვევაში. ეს ნიშნავს, რომ ცეცხლის კერიდან 1,5 მეტრის რადიუსში ტერიტორია სრულად უნდა განმინდო ადვილად აალებადი მასალებისგან (თივა, ხმელი ბალახი, ფოთლები, ფიჩხი).

### რა შედეგები მოჰყვება დაუდევრობას?

გარდა იმისა, რომ ტყეში ხანძრის გამომწვევი მიზეზი გახდება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა, რასაც მოჰყვება ტყეში ხანძრის გაჩენა ან გავრცელება, ითვალისწინებს ჯარიმას 300-დან 500 ლარამდე, ხოლო თუ დაუდევრობამ სერიოზული ზიანი გამოიწვია, საქმეში სისხლის სამართლის კანონმდებლობა ერთვება, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 8 წლამდე ვადით!

ეროვნული სატყეო სააგენტო ქვეყნის მასშტაბით, ტურისტულად დატვირთულ ტერიტორიებსა და ხანძარსაშიმ უბნებზე, 350 საინფორმაციო ბანერს, „დაიცავი ტყეში ქვევის წესები“ ანთავსებს. ბანერებზე დატანილი QR კოდის დასკანერებით, ნებისმიერ სტუმარს შეუძლია გაეცნოს ტყეში ქვევის, საპიკნიკე ადგილების მოწყობისა და კოცონის დათების წესებს.

იცოდით, რომ სტატისტიკის მიხედვით, ტყეში ხანძრის გამომწვევ ძირითად მიზეზად სწორედ ადამიანთა დაუდევრობა სახელდება? სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

**გაპუზრთხილდეთ  
და ერთად  
დავიცვათ  
ჩვენი მწვანე  
საგანძურნი!**

# რატა-ღეჩხუმში გავრცელებული ჯიშის ჯიშები



## **მცვიპანი რატული**

ადგილობრივი თეთრყურძნიანი ჯიშის ჯიშია, მიეკუთვნება რატა-ღეჩხუმის ჯიშის ჯიშების ჯგუფს და მცირედ არის გავრცელებული რატის მევენახეობის ზონაში. მცვიპანი რატული საღვინე მიმართულების ჯიშის ჯიშია. ღვინო ხასიათდება სიხალისით, საუბო სხეულით, სურნელოვანი და სასიამოვნო გემოთი. გამოითქვება როგორც თეთრი მშრალი, ასევე ტქრიალა ღვინოების დასამზადებლად.



## **უსახელოური**

(სინონიმი: ოყურაშული)

ადგილობრივი წითელყურძნიანი ჯიშის ჯიშია, მიეკუთვნება რატა-ღეჩხუმის ჯიშის ჯიშების ჯგუფს და ძირითადად გავრცელებულია ღეჩხუმის მევენახეობის ზონაში. უსახელოური მადალი ხარისხის საღვინე ჯიშის ჯიშია. იგი გამოითქვება მშრალი, ბუნებრივად ნახევრად მშრალი და ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინოების დასამზადებლად. აღსანიშნავია, რომ უსახელოურისგან მზადდება დასახელებული ღვინო „ოყურაშის უსახელოური“.



## **ცოლიკოური**

სინონიმები: ოგზური ცოლიკოური, ცოლიკაური, მელქოს ცოლიკოური, კონიძის ცოლიკოური, კობახიძის ცოლიკოური

ადგილობრივი თეთრყურძნიანი ჯიშის წამყვანი ჯიშია, მიეკუთვნება იმერეთის ჯიშის ჯიშების ჯგუფს და ფართოდ არის გავრცელებული არამარტო იმერეთის მევენახეობის ზონაში, არამედ მთელს დასავლეთ საქართველოში. ცოლიკოური მადალი ხარისხის საღვინე ჯიშის ჯიშია. აღსანიშნავია, რომ ცოლიკოურისგან მზადდება ადგილობრივი ღვინოების დასახელების ორიგინალური ღვინოები: „სვირი“ (ციცქასა და კრახუნასთან ერთად), „ტვიში“, „ობჩა“ და „ღეჩხუმი“.



## **ორბელოური**

სინონიმები: ორბელოური ოჯალეში, ორბელის ოჯალეში, ლეჩხუმის ოჯალეში

ადგილობრივი წითელყურძნიანი ჯიშის ჯიშია, მიეკუთვნება რატა-ღეჩხუმის ჯიშის ჯიშების ჯგუფს და ძირითადად გავრცელებულია ღეჩხუმის მევენახეობის ზონაში. კლასიკური ტექნოლოგიით დასამზადებელი ორბელოურის ღვინო ხასიათდება კარგი შეფერილობით, სიმსუბუქით, სამუალო ექსტრაქტულობით და სასიამოვნო გემოთი.

# თხილის უეცარი ხმოვა - ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ქართული მეთილოგიისთვის

თხილი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, რომლის წარმოებასა და ექსპორტში ქვეყნის აგროსექტორს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. შესაბამისად, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ის გამოწვევები, რომლებიც ბოლო წლებში თხილის წარმოებაში გამოვლინდა. მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად მცენარეთა უეცარი ხმობის შემთხვევები რჩება, რაც ფერმერებისთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზიანთან არის დაკავშირებული. სპეციალისტების შეფასებით, აღნიშნული პრობლემა კომპლექსურ ხასიათს ატარებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი თხილის ბაქტერიული სიდამწვრის დაავადებაა, რომლის შედეგად მცენარე სუსტდება და უფრო მგრძობიარე ხდება სხვა დაავადებების მიმართაც. დაავადების გამომწვევი პათოგენი მცენარის ქსოვილებში სისტემურად ვრცელდება და აზიანებს მის სასიცოცხლო ფუნქციებს, რის გამოც დაზიანებული მცენარის სრულად აღდგენა ხშირად რთულ პროცესად იქცევა.



დაკვირვებებითა და პირველადი კვლევების შედეგებით გამოიკვეთა, რომ დაავადების განვითარებაზე გავლენას ახდენს როგორც გარემო პირობები, ისე აგროტექნიკური ფაქტორები. მათ შორის აღსანიშნავია ნიადაგის მაღალი მჟავიანობა, ჭარბი ტენიანობა, წყლის დეგომა, მექანიკური დაზიანებები და ბალებში არასათანადო ფიტოსანიტარიული მდგომარეობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასევე მერქნიჭამია მავნებლების კონტროლს, რადგან სხვადასხვა სამეცნიერო წყაროს მიხედვით, ისინი დაავადების გავრცელებაში შესაძლოა გარკვეულ როლს ასრულებდნენ.

კვლევების ფარგლებში ყურადღება დაეთმო ჯიშობრივ თავისებურებებსაც. პირველადი შედეგების მიხედვით, დაავადების მიმართ სხვადასხვა ჯიშის განსხვავებულ რეაქციას ავლენს. ამ ეტაპზე შედარებით მაღალი მიმდებლობით გამოირჩევა ჯიშები „ტონდა ჯიფონი“ და „ანაკლიური“, განსაკუთრებით კი „ტონდა ჯიფონი“.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ დაავადების გავრცელების შესამცირებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დროულ და სწორ აგროტექნიკურ ღონისძიებებს. მნიშვნელოვანია დაზიანებული მცენარეების დროული გამოვლენა, სანიტარიული გასხვლა, დაავადებული მცენარეული ნარჩენების ბალიდან გატანა და განადგურება, ასევე სამუშაო იარაღების დეზინფექცია, რათა შემცირდეს პათოგენის გავრცელების რისკი.

პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში რეკომენდებულია ბალებში ფიტოსანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება, სარეველების კონტროლი, სადრენაჟო სისტემების მონერსრიგება, ნიადაგის მჟავიანობის რეგულირება და მავნებლების სისტემატური მონიტორინგი. სპეციალისტების შეფასებით, წარმოების რეველარული დაკვირვება და დაავადების პირველივე ნიშნებზე შესაბამისი რეაგირება მოსალოდნელი ზიანის შემცირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

თხილის უეცარი ხმობის პრობლემა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს მცენარეთა ჯანმრთელობის მუდმივი მონიტორინგისა და რეკომენდებული აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად განხორციელების მნიშვნელობას, რაც წარმოების სიცოცხლისუნარიანობისა და მოსავლიანობის შენარჩუნებისთვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.



# ნუ გადაწვავ სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებს

ნუ შეუქმნი საფრთხეს გარემოს!



სხვადასხვა რეგიონში სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებზე საზაფხულო სამუშაოები უკვე დაწყებულია. სამწუხაროდ, მოსავლის აღების შემდეგ, ფერმერები ხშირად უკიდებენ ცეცხლს სავარგულეებზე დარჩენილ მცენარეულ ნარჩენს. არადა, ეს მავნე პრაქტიკა გარემოსთვის საზიანო და სახიფათოა. აღნიშნულ ქმედებაზე შესაბამისი ჯარიმაც მოქმედებს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოქალაქეებს მოუწოდებს, უარი თქვან მავნე პრაქტიკაზე და არ ჩაიდინონ სამართალდარღვევა.

## რა შედეგი მოაქვს სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებზე ნარჩენების წვის მავნე პრაქტიკას

სეზონურად, მოსავლის აღების შემდეგ, ფერმერები სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებზე მცენარეულ ნარჩენებს ცეცხლს უმეტესად მიწის გასუფთავების მიზნით უკიდებენ. შესაბამისად, გარემოს დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე, ყოველ სეზონზე, არაერთი ზარი ფიქსირდება მინდვრების გადაწვის მავნე პრაქტიკასთან დაკავშირებით. მოქალაქეები წუხან ნარჩენების წვის შედეგად წარმოქმნილი კვამლისგან შექმნილი დისკომფორტისა და გაუსაძლისი პირობების გამო. ნარჩენის წვის დროს მომწამლავი ნივთიერებები მართლაც გამოიყოფა, აბინძურებს ატმოსფერულ ჰაერს და საფრთხე უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას, თუმცა ეს არ არის ერთადერთი სავალალო შედეგი, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულეების გადაწვის მავნე პრაქტიკას მოსდევს.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებზე მცენარეული ნარჩენის გადაწვა შესაძლოა ხანძრის გავრცელების საფუძველიც გახდეს და საფრთხე შეუქმნას ქარსაფარ (მინდორდაცვით) ზოლებსა და ტერიტორიის ახლომდებარე ინფრასტრუქტურას.

ფერმერები ხშირად ამ ქმედებას იმიტაც „ამართლებენ“, თითქოს გადაწვის შემდეგ უკეთესი მოსავლის მიღების მეტი შანსია. არადა, სპეციალისტების თქმით, ეს საზოგადოებაში გავრცელებული მცდარი მოსაზრებაა. პირიქით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებზე

მცენარეული ნარჩენის გადაწვა იწვევს ნიადაგის თვისებების გაუარესებას, ნაყოფიერების დონის შემცირებას და საბოლოოდ, ნიადაგის დეგრადაციას. შესაბამისად, წლების განმავლობაში ამ მავნე პრაქტიკის გამოყენებამ შეიძლება ისეთ სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს, რომ უხვმოსავლიანი მიწებიც კი, რამდენიმე წელიწადში საერთოდ მოუსავლიანი გახდეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხელოვნური ხანძრები მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ბიომრავალფეროვნებას, იწვევს გაუდაბნობას.

## რა სანქციები მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებზე ნარჩენების წვაზე

მავნე პრაქტიკის შედეგების გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებზე მცენარეული ნარჩენის დაწვა კანონით დასჯადი ქმედებაა. ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, აღნიშნული ქმედება ითვალისწინებს 500-ლარიან ჯარიმას. თუმცა, სამართალდარღვევის გარემოებებიდან გამომდინარე, სამართალდამრღვევს გაცილებით დიდი ოდენობის ჯარიმისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხის გადახდაც შეიძლება მოუწიოს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ეკიპაჟები ქვეყნის მასშტაბით 24-საათიან უწყვეტ პატრულირებას ახორციელებენ, რათა დროულად მოხდეს გარემოსდაცვითი სამართალდარღვევის ფაქტების პრევენცია, აღკვეთა და გამოვლენა. ამასთან, მყისიერი რეაგირება ტარდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) შემოსულ თითოეულ შეტყობინებაზე. მოსავლის აღების სამუშაოების დასრულების შემდეგ, დეპარტამენტი განსაკუთრებით მკაცრ კონტროლს განახორციელებს იმ მუნიციპალიტეტებსა და ლოკაციებზე, სადაც მსგავსი ქმედების რისკი არსებობს და ბოლო წლებში, მინდვრების გადაწვის მავნე პრაქტიკა ფიქსირდება. დეპარტამენტი მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან კანონი და გარემო, წინააღმდეგ შემთხვევაში, თითოეულ გამოვლენილ სამართალდარღვევაზე გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ინფორმაციის წყარო: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

# ყრიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელება

ყრიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელება ადამიანის და ცხოველის ვირუსული დაავადებაა, რომლის ძირითადი გადამტანია ჰიალომას გვარის ტკიპები



ცხოველებში ყრიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელება უსიმტომოდ მიმდინარეობს და ძირითადად ავადდება მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი, თხა, ირემი, კურდღელი და სხვა ცხოველი. ადამიანები ავადდებიან: ინფიცირებული ტკიპის კბენით; ტკიპთან ექსპოზიციით (გაჭყლეტვა); ავადმყოფი ცხოველის სისხლთან კონტაქტით (დაკვლაში ან ცხოველის მშობიარობაში მონაწილეობა); ავადმყოფი ადამიანის სისხლთან და ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტით;

## როგორ დავიცვათ თავი ყრიმ კონგოს დაავადებისაგან?

მუდმივად დაამუშავეთ თქვენი ცხოველები და მათი სადგომები ტკიპების საწინააღმდეგოდ ინსექტოაკარიციდული პრეპარატის ინსტრუქციის გათვალისწინებით; ცხოველების მოვლის პროცესში გამოიყენეთ სპეცტანსაცმელი და ხელთათმანები; იმ ტერიტორიაზე, სადაც მალალია ბალახის საფარი, ატარეთ გრძელსახელოებიანი ტანსაცმელი, გრძელი შარვალი და დახურული ფეხსაცმელი ან ჩექმა; სახლში დაბრუნებისას შეამოწმეთ ტანსაცმელი და სხეული; ხშირად დაათვალიერეთ შინაური ცხოველები; ცხოველებს ტკიპები მოამორეთ ხელთათმანის და პინცეტის გამოყენებით, მოცილებისას შეეცადეთ არ გაჭყლიტოთ ტკიპები;


ინფორმაციის წყარო: სურსათის ეროვნული სააგენტო

## ტკიპის კბენის ან ხელით გასრესვის შემდგომ 14 დღის განმავლობაში თუ შენიშნეთ:

- ტემპერატურის მატება 38-40°C-მდე;
- შემცივნება;
- გამონაყარი/სისხლნაჟღენთი კანზე;
- სისხლდენა ნებისმიერი ორგანოდან (ცხვირი, ღრძილები, საშვილოსნო, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი);
- კუნთებისა და თავის ტკივილი;
- თავბრუსხვევა;

გულისრევა/ღებინება/დიარეა/ტკივილი მუცლის არეში.

## დაუყოვნებლივ მიმართეთ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს





## ირიგაციის პრაქტიკული განვითარების ისტორია

### წყლის მართვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი

საქართველო აგრარული ქვეყანაა და უძველესი დროიდან ხელოვნური მორწყვა სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენდა. ქართველი გლეხი ყოველთვის ცდილობდა, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობდა, გაეყვანა თუნდაც მცირე სარწყავი რუ. სწორედ სარწყავი წყლის სიახლოვეს ვითარდებოდა მიწათმოქმედება, იდგებოდა წისქვილები და სახლდებოდა მოსახლეობა. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს არაერთი სოფლისა და დასახლების სახელწოდება უკავშირდება რუებსა და სარწყავ სისტემებს, ამის მაგალითებია: რუისი, რუსიბოლო, რუისპირი, რუსთავი.

საქართველოში სარწყავი მიწათმოქმედების უძველეს ტრადიციებზე ვერ კიდევ ძველი ავტორები მიუთითებდნენ. ბერძენი მოგზაური და გეოგრაფი სტრაბონი წერდა: „ეს ქვეყანა უფრო მეტად ირწყვის მდინარეთა და სხვა წყლებით, ვიდრე თვით ბაბილონი და ეგვიპტე, ჰაერიც ბევრად უკეთესია, ვენახში კი იმდენი ნაყოფია, რომ ნაწილი მოუკრეფავი რჩება“.

ისტორიკოსისა და არქეოლოგის, ექვთიმე თაყაიშვილის შეფასებით, დიდი სარწყავი არხების გაყვანა საქართველოში, სავარაუდოდ, პირველი ათასწლეულის მე-2 ნახევარში დაიწყო. წერილობითი ცნობები შემორჩენილია რუსთავის არხის შესახებ - „მოქცევაი ქართლისაი“ მოგვითხრობს, რომ ქართველმა მეფემ თრდატმა რუსთავის რუ გაიყვანა, რაც იმ პერიოდისთვის დიდი მიღწევა იყო.

ისტორიკოსები ძველი საქართველოს სარწყავი სისტემების განვითარების ზენიტად XII საუკუნეს მიიჩნევენ. დღეს მოქმედი მრავალი არხი სათავეს სწორედ შუა საუკუნეებიდან იღებს. ამ პერიოდში ფუნქციონირებდა არხები ტირიფონის ველზე, რუის-ურბნისის მიდამოებში, სამგორში, ვახეთსა და ქვეყნის სხვა რეგიონებში. თამარ მეფის მმართველობის ხანაში გაიყვანეს ორი მნიშვნელოვანი სარწყავი არხი - ალაზნისა და სამგორის სისტემები, რომლებმაც ათიათასობით ჰექტარი მიწის მორწყვა უზრუნველყო.

საქართველოს ისტორიაში იყო როგორც აღმავლობის, ისე დაღმასვლის პერიოდები, რაც ირიგაციული სისტემების განვითარებაზეც აისახებოდა. მონღოლთა, თურქთა და ირანელთა შემოსევებმა ქვეყნის ეკონომიკას და, მათ შორის, სარწყავ სისტემებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. მიუხედავად ამისა,

XVII-XVIII საუკუნეებში ირიგაციული მეურნეობის აღდგენის პროცესი კვლავ გაგრძელდა. განსაკუთრებული როლი ამ საქმეში ვახტანგ VI-ს მიუძღვის. მისი ინიციატივით აღდგა ურბნისის, სალთვისის, ქციისა და ნახიდურას რუები, ხოლო რიგ ადგილებში ახალი არხებიც გაიყვანეს.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში, „დასტურლამალში“ მოცემულია სარწყავი წყლით სარგებლობისა და მისი განაწილების წესები. წყალსარგებლობასთან დაკავშირებულ დავებს სასამართლო ან მეფე განიხილავდა, ხოლო წესების დამრღვევებს კი დანაშაულის მიხედვით აჯარიმებდნენ ან ბეგრავდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კვლავ აქტუალური გახდა სარწყავი მეურნეობის აღდგენის საკითხი. დაიწყო ახალი სარწყავი სისტემებისა და არხების მშენებლობა საქართველოში. ამ პროცესმა მნიშვნელოვნად გაზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის განვითარებას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი დაზიანდა და მწყობრიდან გამოვიდა, თუმცა დამოუკიდებლობის შემდგომ წლებში ეტაპობრივად დაიწყო მისი აღდგენა და მოდერნიზაცია. თანამედროვე სამელიორაციო სისტემები დღეს მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებაში, მიწების ნაყოფიერების შენარჩუნებასა და მოსავლიანობის ზრდაში.

ირიგაციის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ნათლად აჩვენებს, რომ წყლის მართვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იყო და დღემდე ასეთად რჩება.



# ადამიანის საკვებად გამოსაყენებელი სარეველა მცენარეები

უძველესი დროიდან პირველყოფილი ადამიანი საკვებად იყენებდა ველურ მცენარეებს ( ფოთლებს, თესლებს, წვნიან ღეროებს, ტკბილ ფესვებს ). მომთაბარე ცხოვრების დროს ისინი იკვებებოდნენ იმ მცენარეებით, რომლებიც მათ გზაზე ხვდებოდა (თათაბო, ჯიჯლაყა, მდოგვი, ჭინჭარი და სხვა), დროთა განმავლობაში დაინწყეს მოძიება და შეგროვება მცენარეებისა, რომელთა გემური თვისებები მათთვის მისაღები იყო. სარეველა მცენარეები შეიცავენ ანტიოქსიდანტებს, ვიტამინებსა და მიკროელემენტებს (E, C, P, PP, Fe, Ca, K, Mg, B1, B2, B6 და სხვ.), ისინი საკვებად ვარგისია მათი შეგროვებიდან 2-3 საათის განმავლობაში, ან უკიდურეს შემთხვევაში იმავე დღეს. გამოიყენება ბოსტნეულთან, თევზეულთან, ხორციან კერძებში, ამზადებენ სუპებს, ფხალეულს და სხვ. წარმოგიდგენთ იმ სარეველა მცენარეების ჩამონათვალს, რომელიც ადამიანის საკვებად დღესაც გამოიყენება და სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა.

ინფორმაციის წყარო: სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია



**ნახარქათამა - CHENOPODIUM ALBUM L.**

ერთწლიანი, ბალახოვანი, საგაზაფხულო სარეველაა. ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორი, მომწვანო-მონაცრისფრო, სიმაღლე 20-100 სმ; ფოთლები - მორიგეობით განლაგებული, კვერცხისებურ-რომბისებური, დაკბილული; ყვავილედი - თავთავისმაგვარი, სიგრძე 10-40 სმ, ყვავილობს ივლის-აგვისტოში; თესლურა - მომრგვალო, წვრილი, შავი, დიამეტრით 1.5 მმ, ერთ მცენარეზე ვითარდება 100 000 თესლი, აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 8 წელიწადს. გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის დასამზადებლად.



**ქუთქუთა - THLASPI ARVENSE L.**

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა ჯვაროსანთა ოჯახიდან; ღერო - მარტივი ან დატოტვილი, 10-50 სმ სიმაღლის; ფოთლები - ისრისებური, მკდომარე, ყვავილი - წვრილი თეთრი ფერის, ყვავილობს აპრილიდან ივნისამდე; ნაყოფი - ჭოტაკი, მრგვალი ან მომრგვალო ოვალური, სიგრძე 12-18 მმ, სიგანე 11-16 მმ. თესლი ყავისფერი, დაღარული, სიგრძით 1.75-2.5 მმ, სიგანე 1.25-1.75 მმ, ერთი მცენარე იძლევა 10 000-მდე თესლს. გამოიყენება კულინარიაში ფხალეულის დასამზადებლად.



**ქუწქუპი - STALLARIA MEDIA (L.) CYR.**

ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა მისაკისებრთა ოჯახიდან; ფესვი - ფუნჯა; ღერო - ცილინდრული, დატოტვილი 10 სმ-მდე; ფოთლები - კვერცხისებური, ბოლოში წაწვეტებული; ყვავილები - პატარა, თეთრი, ყვავილობს - მაის-აგვისტოში; ნაყოფი - მოგრძო კოლოფი; თესლი - მომრგვალო ან თირკმლისებური, მუქი ყავისფერი ან მონაცრისფრო-ყავისფერი, ზომით 0.75-1.25 მმ, ერთი მცენარე იძლევა 15 000 თესლს, აღმოცენების უნარს 2-5 წლის განმავლობაში. გამოიყენება კულინარიაში სალათების დასამზადებლად.



არჩვი, იბივე „ფსიტი“  
(*Rupicapra rupicapra*)

# საქართველოს დაცული ტერიტორიების მთების ერთ- ერთი ყველაზე მოსდენილი და გამბედავი ბინადარი




მთის სხვა ჩლიქოსნებისგან ის შედარებით მცირე ზომით და გამორჩეული, პატარა მოკაუჭებული რქებით განსხვავდება. სწორედ ამ რქებს უკავშირდება ერთ-ერთი საინტერესო ლეგენდაც - ძველად სჯეროდათ, რომ არჩვისთვის დამახასიათებელი სტვენისმაგვარი ხმა მისი რქებიდან მოდიოდა, რის გამოც მას „ფსიტი“ უწოდეს. არჩვი ბინადრობს ტყის ზედა, სუბალპურ და ალპურ კლდოვან ზონებში, სადაც საოცარი სისწრაფითა და სიმარჯვით გადაადგილდება ყველაზე რთულ ფერდობებზეც.

წარსულში ის თითქმის მთელ კავკასიონზე, ასევე მესხეთსა და აჭარაში გვხვდებოდა, დღეს კი მხოლოდ ცალკეულ ტერიტორიებზეა შემორჩენილი - მათ შორის ლაგოდეხის, თუშეთის, ბორჯომ-ხარაგაულისა და ბანარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში არჩვი შედარებით სტაბილურ სახეობად ითვლება, საქართველოში ის საფრთხეში მყოფი სახეობების კატეგორიას მიეკუთვნება, რაც მის დაცვას კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის.

რვენი ძვენი  
ტარიტორიაზე  
ფართოდა  
ნარამდგანილი  
ფრინველავის როგორც  
ენდაუარი, ისა სხვა  
ძვენივენისათვის  
დაახასისათავალი  
სახოვავი. გაგაცნოთ  
საქართველოს ფაუნის 4  
ნარამდგანელს



# ბიომრავალფეროვნება



## ჭინჭრაქა, ლოჯაქვრალა (TROGLODYTES TROGLODYTES)

ფრინველი ბელურასნაირთა რიგისა. მისი სხეული სიგრძე - 10-12 სმ, მასა 8-11 გ-ს აღწევს. გავრცელებულია ევრაზიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში ჩვეულებრივი მოხინაღრე ფრინველია, ვერტიკალურად გვხვდება ზღვის დონიდან 2100 მ-მდე. ბინადრობს ხშირ ბუჩქნარებში, ხეებისა და ხეობების პირას, ტყეში. ბურთივით მრგვალ ბუდეს იკეთებს ხავსისა და სხვა მცენარეებისაგან, აპრილში დებს 4-7 კვერცხს. ინკუბაცია 2 კვირამდე გრძელდება. იკვებება ობობებითა და წვრილი უხერხემლოებით, კენკრითა და მცენარეთა თესლით.



## კასპიური შურთხი (TETRAOGALLUS CASPIUS)

ფრინველი ხობხისებრთა ოჯახიდან, ქათმისნაირთა რიგისა. გავრცელებულია საქართველოში, თურქეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ ირანის ალბორზის მთებში. კასპიური შურთხი ბინადრობს 1800-3000 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, შიშველ კლდოვან და ალპური მცენარეულობით დაფარულ ადგილებზე. ბუდობს შიშველ გრუნებზე და დებს 6-9 მომწვანო კვერცხს, რომელზეც მხოლოდ დედალი შურთხი კრუხობს სამ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში. კასპიური შურთხები იკვებებიან მცენარეთა კვირტებით, ყლორტებით, თესლით, კენკრით, ბოლქვებით, იშვიათად მწერებით. კასპიური შურთხები ჯგუფებად ცხოვრობენ თითქმის მთელი წლის განმავლობაში გამრავლების პერიოდის გარდა. კასპიური შურთხის სიგრძე 56-63 სანტიმეტრია, ფრთების შლილი 95-დან 105 სანტიმეტრამდე მერყეობს. ფრინველის წონა 1,8 კილოგრამიდან 2,9 კილოგრამამდეა. მისი ბუმბული შეფერილია ნაცრისფერი, ყავისფერი და შავ-თეთრი ფერებით, მაგრამ ამ სახეობის შურთხი ღია ნაცრისფერი ჩანს თითქმის ნებისმიერი მანძილიდან. მკერდი

ღია ნაცრისფერია, ყელისა და კისრის მხარეს თეთრი ლაქა აქვს, კისერი კი მუქი ნაცრისფერი. ფრენის დროს კასპიური შურთხის შეფერილობა ძირითადად თეთრია, რადგან ბუმბულის შიდა მხარე და კუდის ქვედა მხარე თეთრი ფერის აქვს. მამალი და დედალი შურთხები შეფერილობით მსგავსია, ახალგაზრდა ასაკში ზომით მომცრო და მდუმარეა. შეფერილობით გამოირჩევა სამი სხვადასხვა კასპიური შურთხი, რომელიც განსხვავდება მისი გავრცელების მიხედვით, დასავლეთით გავრცელებული კასპიური შურთხი მუქი შეფერილობისაა, ხოლო აღმოსავლეთით მისი შეფერილობა თანდათან ღია ხდება. კასპიურ შურთხს აქვს მკვეთრი და უღერადი სტვენის ხმა, აღსანიშნავია რომ კასპიური შურთხის სტვენის ხმა განსხვავდება კავკასიური შურთხის ხმისგან.

## გველი (CAPREOLUS)



წყვილჩლიქოსან ცხოველთა გვარი ირმისებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე - 150 სმ, მამლის მასა 55 კგ-ს აღწევს, დედალი მომცროა. შველს აქვს მსუბუქი, მოხდენილი სხეული, გრძელი და წვრილი ფეხები, მოკლე კუდი, რქები 3 (ზოგჯერ 4) მორჩილი (მამალს), დედალი ურქოა. გავრცელებულია ევროპაში, წინა აზიის დასავლეთით, კავკასიაში, ცენტრა-

ლურ აზიაში, აგრეთვე სამხრეთ ციმბირის მთებში, მონღოლეთსა და შორეულ აღმოსავლეთში. უპირატესობას ანიჭებს მეჩხერ ფოთლოვან ან შერეულ ტყეებსა და კარგად განვითარებულ ქვეტყეს. იკვებება მცენარეული საკვებით. მაკეობა 9 თვემდე გრძელდება, შობს 1-2 ნუკრს, რომლის სხეული სწორხაზოვნად განლაგებული თეთრი ხალეებითა დაფარული. შველი ნადირობის ობიექტია. კარგად ეგუება ადამიანისაგან შეცვლილ ბუნებრივ პირობებს. მომრავლება მრავალ ადგილას არის შესაძლებელი და დიდი სარგებლობა მოაქვს. იყენებენ ხორცს, ტყავსა და რქებს. შველის სახეობებიდან საქართველოში გვხვდება ევროპული შველი (ლათ. Capreolus capreolus) და ციმბირული შველი (ლათ. Capreolus pygargus).

## არჩვი, ფსიტი (RUPICAPRA RUPICAPRA)



ჩლიქოსანი ცხოველი ძროხისებრთა ოჯახისა. სხეულის სიმაღლე მინდამში 65-70 სმ, მენჯთან - 75-85 სმ. წონა 40 კგ-მდე. 20 სმ-მდე სიგრძის, სწორად აღმართული, ბოლოში მოკუჭებული რქები აქვთ ვაცებსაც და ნებვებსაც. ვაცი უფრო დიდია და მურა. რქების უკან აქვთ ჯირკვლები,

საიდანაც ხურაობის პერიოდში (ოქტომბრიდან დეკემბრამდე) გამოიყოფა სპეციფიკური სუნის სეკრეტი. გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილსა და კავკასიის მთებში, საქართველოში — კავკასიონზე, თრიალეთის, გურია-აჭარისა და ლიხის ქედებზე. ცნობილი ქვესახეობებიდან საქართველოში გვხვდება კავკასიური არჩვი (Rupicapra rupicapra caucasica), იკვებება ბალახით, ზოგჯერ ბუჩქნარის ყლორტებითა და ნეკერით. მაკეობა 6 თვემდე გრძელდება. ჩვეულებრივ მათში ერთ (იშვიათად ორ) თიკანს შობს. სქესობრივ სიმწიფეს 2 წლისა აღწევს, ზრდას 3 წლისა ამთავრებს, ცოცხლობს 25 წლამდე.

ინფორმაციის წყარო: ველური ბუნების ეროვნული სააგენტო